დადგენილება:**დ-27. 2724117001**
თარიღი:**26/04/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 25

26 აპრილი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 14 მარტს შემოვიდა იზოლდა ჭყოიძის განცხადება (რეგისტრაციის N19/26240747-26) სოფელ რუისპირში მდებარე 2817 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.11.42.183) და მასზე განთავსებული 160 კვ.მ. N1 შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

იზოლდა ჭყოიძეს ჰყავს ავადმყოფი მეუღლე და 2 ვაჟი. ოჯახს არ გაჩნია საცხოვრებელი სახლი. ამასთან, ოჯახი არის სოციალურად დაუცველი. ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე რაიმე მიზნით გამოყენება არ არის დაგეგმილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფელ რუისპირში მდებარე 2817 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.11.42.183) და მასზე განთავსებული 160 კვ.მ. N1 შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით იზოლდა ჭყოიძისათვის სარგებლობაში გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

<u>გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:</u>

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე იზოლდა ჭყოიძეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს სოფელ რუისპირში მდებარე 2817 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.11.42.183) და მასზე განთავსებული 160 კვ.მ. N1 შენობა-ნაგებობა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი